



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტური ეროვნული კომისია

## გ ა დ ა ო ყ ე მ ე ტ ი ლ ე ბ ა №98/13

2018 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

### საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა შპს „რუსთავის წყლის“ მიმართ მოქალაქე ნინა ზურაბაულისა და ლიანა ზურაბაულის (რეგისტრაციის N13690/01 09.11.2018), შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ მოქალაქე ცისანა კუსიანის (რეგისტრაციის N13734/01 12.11.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ცისანა მჭედლიძის (რეგისტრაციის N13735/01 12.11.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ნინო მაჭარაშვილის (რეგისტრაციის N13929/01 15.11.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე გიგა გაბრიადის (რეგისტრაციის N14026/01 16.11.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ირაკლი გოგიაშვილის (რეგისტრაციის N14096/01 19.11.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე როლანდ ენდელაძის (რეგისტრაციის N14244/01 26.11.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე რუზანა მესტვირიშვილისა (რეგისტრაციის N14322/01 26.11.2018) და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მეგობრობის“ (რეგისტრაციის N14162/01 21.11.2018) განცხადებათა თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადების დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს

ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „რუსთავის წყლის“ მიმართ მოქალაქე ნინა ზურაბაულისა და ლიანა ზურაბაულის (რეგისტრაციის N13690/01 09.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 9 თებერვალი.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ მოქალაქე ცისანა კუსიანის (რეგისტრაციის N13734/01 12.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 12 თებერვალი.

3. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ცისანა მჭედლიძის (რეგისტრაციის N13735/01 12.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 12 თებერვალი.

4. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ნინო მაჭარაშვილის (რეგისტრაციის N13929/01 15.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 15 თებერვალი.

5. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე გიგა გაბრიადის (რეგისტრაციის N14026/01 16.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 16 თებერვალი.

6. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ირაკლი გოგიაშვილის (რეგისტრაციის N14096/01 19.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 19 თებერვალი.

7. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე როლანდ ენდელაძის (რეგისტრაციის N14244/01 26.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 26 თებერვალი.

8. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე რუზანა მესტვირიძის (რეგისტრაციის N14322/01 26.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 26 თებერვალი.

9. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მეგობრობის“ (რეგისტრაციის N14162/01 21.11.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 21 თებერვალი.

10. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საჩივრის წარმდგენ პირებს;

11. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან;
12. გადაწყვეტილება ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

